ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №219

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ,,ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფის პროგრამა“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

პროგრამა

2017 წელი

ზომის ერთეული -ლარი

1 პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა

2 პროგრამის საანგარიშო პერიოდი:

დაწყება: 01.01.2017 დასრულება: 31.12.2017

3 პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

6 000 (ექვსი ათასი) ლარი

4 პროგრამის განმახორციელებელი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

5 პროგრამის ძირითადი მიზნები

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა

6 პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება

ფენილკეტონურია წარმოადგენს იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევასთან და იწვევს ც.ნ.ს.-ისა და

სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები არ სარგებლობენ შეღავათებით. ამის გამო ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იქნა ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის 2 პირისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის 2 პირისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 2000 ლარის ოდენობით.

7 სფერო, რომელსაც ეხება პროგრამა

მშენებლობა	სოც. უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	კულტურა	სხვა (მიუთითეთ)
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	განათლება	

8 პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება

9	პროგრამის სტატუსი	ერთწლიანი	მრავალწლიანი	ახალი	გაგრძელება

10 პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების დეტალური აღწერა

1	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება. (2 პირი)	კომპენსაციის გაცემა 1000 ლარის ოდენობით
2	18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება. (2 პირი)	კომპენსაციის გაცემა 2000 ლარის ოდენობით

11 პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების კალენდარი

№	ღონისძიების დასახელება	მათ შორის თვეების მიხედვით:											
		მიმდინარე (მათ შორის გარდამავალი)											
		01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
1	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

12 პროგრამის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით (ლარი)

№	დაფინანსების წყარო	წილი (%)	სულ თანხა

ა	ადგილობრივი ბიუჯეტი	100%	6 000
ბ	სხვა		
ჯამი			6000

13 პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარი);

№	ღონისძიების დასახელება	გადასახდელების ეკონომიკური კატეგორია	სულ თანხა, მათ შორის:	
			გარდამავალი	მიმდინარე
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი		0	6000
1	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	ხარჯები		2000
2	18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.			4000
ბ	სხვა		0	
...				
ჯამი			0	6000

14 პროგრამის დასაგეგმის შემდგომი წლების დაფინანსების პროგნოზი (ლარი)

დასაგეგმის შემდგომი 1	დასაგეგმის შემდგომი 2	დასაგეგმის შემდგომი 3
6000	6000	6000

15	მოსალოდნელი შედეგები
1	დაავადების სტაბილიზაცია
2	ფენილკეტონურიითდაავადებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

16	შედეგების შეფასების კრიტერიუმები
1	ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილი 18 წლამდე ასაკის 2 პირი
2	ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილი 18 წლის ზემოთ ასაკის 2 პირი
3	კმაყოფილების დონის განსაზღვრა

17	საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:

18	დამატებითი ინფორმაცია:
	პროგრამით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირები. ბენეფიციართა დაყოფა საპროგნოზო ხასიათს ატარებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა.